საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 26 დეკემბერი 2011 წ.

ბრძანება № 142

**“ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში
გოგი დოლიძის სახელობის შემოქმედებითი სტიპენდიის
მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ” რექტორის 2011 წლის
16 ნოემბრის №127 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22 მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2011 წლის 24 ოქტომბრის №77 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 1 ნოემბრის №4 გადაწყვეტილების საფუძველზე ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება “ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გოგი დოლიძის სახელობის შემოქმედებითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2011 წლის 16 ნოემბრის №127 ბრძანების მე-3 პუნქტში და კონკურსში მონაწილეთა განაცხადებების მიღება ნაცვლად 2011 წლის 1 დეკემბრისა განხორციელდეს 2012 წლის 20 თებერვლიდან 1 მარტამდე, კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 06 მარტს.

2. აღნიშნული ბრძანებით იხელმძღვანელონ სტუდენტთა მომსახურების განყოფილებამ, სტუდენტურმა თვით მართველობამ და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით, გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე და ასევე განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 4).

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ერმილე მესხია**